PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის
მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

ექსპერტთაჯგუფისწევრები

თავმჯდომარე: ირმა ღარიბაშვილი

წევრები:

იაზონ დანელია

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - **ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი[redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2021 წლის 15 მარტს წარმოდგენილ იქნა განაცხადი „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო ინტეგრირებული და არაინტეგრირებული პროგრამის დამატების შესახებ.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 12 აპრილის ბრძანების (№345266) მიხედვით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობა წარიმართა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, 26 აპრილს დღის 11:00 საათიდან. გასაუბრება ჩატარდა პლატფორმა ,,ზუმის“-ის მეშვეობით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, ავტორიზაციის ექსპერტთა ექსპერტთა ჯგუფს წინასწარ მიეწოდა კოლეჯის მიერ ცენტრში წარდგენილი განაცხადი პროგრამის დამატების შესახებ სხვა თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად. ექსპერტებმა წინასწარ შეისწავლეს აღნიშნული მასალები და კოლეჯიდან ოფიციალურად გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია. <u>საგანმანათლებლო დაწესებულებამ დამატებითი დოკუმენტაციის სახით წარმოადგინა როგორც ექსპერტთა მიერ გამოთხოვილი დოკუმენტაცია, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ცვლილებებით, მათ შორის განაცხადი.</u> ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშვა „ვიზიტის დღის წესრიგი“, რომელიც წინასწარ გადაეგზავნა კოლეჯს. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან.

ექსპერტთა მიერ, ვიზიტისას შეხვედრა განხორციელდა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. შემოწმდა პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსი.

ექსპერტებმა მოისმინეს კოლეჯის ადმინისტრაციის ხედვა პროფესიული პროგრამების განვითარებასთან და განხორციელებასთან დაკავშირებით. პროგრამებისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტაციას, მექანიზმებს და კოლეჯის მარეგულირებელ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

დოკუმენტაციას. გადამოწმდა პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები.

ექსპერტთა ჯგუფმა დისტანციური შეხვედრის ბოლოს შეაჯამა შეფასებისას გამოვლენილი ძირითადი მიგნებები, რომლებიც გააცნო კოლეჯის ადმინისტრაციას.

ვიზიტი წარიმართა კომფორტულ და კონსტრუქციულ ვითარებაში დღის წესრიგის შესაბამისად.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

საუკეთესო გამოცდილება არ დაფიქსირებულა

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება დ აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯმა“ 2020 წელს დაიმატა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები ეხებოდა შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებას, პროგრამის სრულფასოვნად განხორციელებისთვის მატერიალური ბაზის შევსებას, მოსამსახურე პერსონალის პირადი საქმეების სრულად დაკომპლექტებას კოლეჯის შინაგანაწესით სავალებულო წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესაბამისად, კოლეჯის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების გადამუშავებას, პროგრამის შეფასების მექანიზმში შრომის ბაზრის მოთხოვნების და საუკეთესო საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკის შესწავლის ინსტრუმენტების გათვალისწინებას, კვლევისთვის საჭირო გამოკითხვის ფორმების შემუშავებას, შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვის წესის შემუშავებას, პროგრამის ბიუჯეტის გადახედვა და სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის რენტაბელობის განსაზღვრას, ტერმინების ჩასწორებას. ინტერვიურებისას დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წინა ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციები სრულად იქნა გათვალისწინებული. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა და დადასტურდა აღნიშნული საკითხი.

VI.გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

VII.რეკომენდაციების შეჯამება

განვითარების რეკომენდაცია:

მე-2 სტანდარტი.

<u>ინდიკატორი *2.1.1.(6)*</u>

- კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 15 მარტის N04-31 ბრძანებით დამტკიცებულ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიულ პროგრამაში მიეთითოს ცვლილების შესახებ ინფორმაცია, დირექტორის 2021 წლის 16 აპრილის N04-51 ბრძანების შესაბამისად.

ინდიკატორი 2.2.1. (5)

- პროფესიულ დარგობრივ მოდულებში მითითებული ლინკები გასწორდეს ისე, რომ მათი გახსნა იყოს შესაძლებელი.

ინდიკატორი 2.3.1. (1)

- საგანმანათლებლო დაწესებულებამ დანერგოს კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტაციის შეფასების მექანიზმები.

- დაწესებულებამ დანერგოს შიდა მონიტორინგის ჯგუფის წევრთა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საჭიროებების შეფასების და განხორციელების ინსტიტუციური მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში/ Secondary Vocational Qualification in Computer Network and Systems
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	კოლეჯის დირექტორის ბრძანება 04-31; 15.03.2021 ცვლილება №04-51; 16.04.2021
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	მცხეთის რაიონის სოფ. წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	მცხეთის რაიონის სოფ. წინამძღვრიანთკარი 30 პროფესიული სტუდენტი. მოდულური.
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	15
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამისგანხორციელებისრესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლოპროგრამებისშეფასებადაგანვითარება	სრული3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელების დასაბუთება ეფუძნება რეგიონის განვითარების გეგმის მოთხოვნებსა და კოლეჯის ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების საკმარისობას. საგანმანათლებლო დაწესებულება წარმოადგენს მრავალპროფილურ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლის მისიას წარმოადგენს - კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება, როგორც ადგილობრივი, ისე ქვეყნის მასშტაბით შრომის ბაზრისთვის; ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; ასევე, უწყვეტი განათლების მიღების შესაძლებლობის გაზრდა. კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

აცნობიერებს რა თავის სოციალურ პასუხიმგებლობას, საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულობით, ხელს უწყობს რეგიონის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები" შესაბამისობაშია მისიასთან.

კოლეჯს შემუშავებული აქვს „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შექმნის, შეცვლისა და გაუმჯობესების წესი" (დამტკ. დირექტორის N04-125 ბრძანებით, 30.07.2020). დოკუმენტში განსაზღვრულია კოლეჯის მისიის ხედვისა და ღირებულებების, კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შექმნაზე/შეცვლაზე პასუხისმგებელი პირი. დოკუმენტის მე-4 მუხლში გაწერილია სტრატეგიული გეგმის შექმნის, მონიტორინგისა და შეფასების წესი. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესწავლით დადგინდა, რომ კოლეჯი ითვალისწინებს მოთხოვნადი და რეგიონზე მორგებული პროგრამების დამატებას. ასევე, მეოთხე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ზოგადი განათლების კომპონენტის ინტეგრირებას. შესაბამისად, წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ეფუძნება სტრატეგიული განვითარების გეგმას.

პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებაში აღნიშნულია, რომ კოლეჯმა შრომის ბაზრის მიმოხილვითი ანალიზის დროს იხელმძღვანელა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2019 წელს ჩატარებული შრომის ბაზრის ანალიზით. ასევე, სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტის ბაზაში არსებული მონაცემებით. ანალიზი მოიცავს დასაქმების საიტებისა და მათ მიერ გამოქვეყნებული ვაკანსიების შესწავლას. 2019 წელს გამოქვეყნებული ვაკანსიების რაოდენობამ 64 ათასამდე შეადგინა. გამოცხადებული ვაკანსიების უმრავლესობა სამუშაოს მაძიებლისგან პროფესიულ განათლებას ითხოვს. კვლევებზე დაყრდნობით, 2019 წელს გამოქვეყნებული ვაკანსიების მიხედვით IT ტექნიკოსებზე მაღალი მოთხოვნა დაფიქსირდა. კერძოდ, კომპიუტერული ქსელების ტექნიკოსებზე 629 და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მომხმარებლის მხარდაჭერის ტექნიკოსებზე 427 ვაკანსია იყო გამოცხადებული. „საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2020-ის მიხედვით, ფართოდ იყო წარმოდგენილი ვაკანსიები კომპიუტერული ქსელისა და სისტემის ტექნიკოსებზე. 2017 წლის „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევის" მიხედვით კომპიუტერული ტექნიკის სპეციალისტ-პროფესიონალები - წარმოდგენილია 8,158 დასაქმებულით (6.1%).

2021 წლის ფარგლებში ჩაატარდა გამოკითხვა, სადაც მონაწილეობა მიიღო მცხეთა-მთიანეთის სკოლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებმა (მე-9, მე-10, მე-11, მე-12), რეგიონის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

ახალგაზრდებმა და პროფესიული განათლებით დაინტერესებულმა სხვა პირებმა. ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამაზე სწავლით დაინტერესებული პირების მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც ასევე პროგრამის დამატების საფუძველი გახდა დაწესებულებისთვის. გამოკითხულთა რაოდენობის 10% დაინტერესებულია პროფესიული განათლებით. ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ არაინტეგრირებული პროგრამით დაინტერესდა გამოკითხულთა 22%. მცხეთა-მთიანეთის რეგიონში „კომპიუტერული ქსელისა და სისტემების“ ინტეგრირებულ და არაინტეგირებულ პროგრამაზე სწავლის მსურველთა რაოდენობა არის გამოკითხულთა 32% .

ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახება ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების) საფუძველზე შექმნილ „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში გაწერილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები, გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3.წარმოდგენილია სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 იანვრის N04-03 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი''. დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 33[1] მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად. დოკუმენტში გაწერილია ზოგადი დებულებები, კონკრეტულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელი გარემოებები.

„კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამაზე კოლეჯისათვის განსაზღვრული კვოტა არის 30 სტუდენტი, მოდულური მიდგომით. აქედან, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთების დანართის“ მიხედვით ინტეგრირებული პროგრამისთვის მოთხოვნილი კვოტა განსაზღვრულია **15 პროფესიულ სტუდენტზე,** 15 პროფესიული სტუდენტი კი განისაზღვრება არაინტეგირებული პროგრამის ფარგლებში.

ექსპერტთა შეფასებით, პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსები შესაბამისობაშია პროგრამის ჩარჩო დოკუმენტთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი იძლევა მოდულებში მოცემული სწავლის შედეგების მიღწევის საშუალებას.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ არჩევითი მოდულები არ აქვს.

6.საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 19.06.2019 წ. N115/ნ ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის წესდება“, რომლის მიხედვით (მუხლი 5. ქვეპუნქტი „ი“) დირექტორი საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით გამოსცემს ინდივიდუალურად ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს - ბრძანებას.

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“ (დირექტორის ბრძანება N04-111, (2018 13.12.2019); ცვლილება: N04-04 11.01.2019 დანართი N1; N04-12 14.02.2019 დანართი N2; ცვლილება: N04-74 28.05.2020 დანართი N1; ცვლილება N04-93 23.05.2020; ცვლილება N04-191 06.10.2020). „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ (ბრძანება N 04-31 15.03.2021.). აღსანიშნავია, რომ კოლეჯმა ექსპერტთა მიერ მოთხოვნილ დამატებით დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგინა ახალი დოკუმენტაცია. მათ შორის კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 16 აპრილის ბრძანება N04-51 „სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის დირექტორის N04-31 ბრძანების (15.03.2021) ცვლილებასთან დაკავშირებით. ახალ წარმოდგენილ პროგრამაში არ არის მითითებული ინფორმაცია ცვლილების თობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტთა მიერ გაიცა რეკომენდაცია.

<u>რეკომენდაცია:</u> კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 15 მარტის N04-31 ბრძანებით დამტკიცებულ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიულ პროგრამაში მიეთითოს ცვლილების შესახებ ინფორმაცია, დირექტორის 2021 წლის 16 აპრილის N04-51 ბრძანების შესაბამისად.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.

7.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შესაბამისობაშია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ ერთ-ერთ კონცენტრაციასთან, რომლის საფუძველზეც შეიქმნა აღნიშნული პროგრამა.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შემუშავებულია „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს N170/ნ ბრძანება „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, ვინაიდან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებას, მიზნებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, მისაღწევი სწავლის შედეგებს, მოცულობას, ხანგრძლივობას, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებას, კვალიფიკაციას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითად დოკუმენტს, ზოგად მოდულებს, პროფესიულ მოდულებს, ინტეგრირებულ მოდულებს და სასწავლო გეგმებს. მოდულების ბლოკში გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულები (A2 – 15 კრედიტი, B1 – 15 კრედიტი). მოდულების, ქართული ენა A2 და B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. სასწავლო გეგმის მიხედვით, ინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს - 168 სასწავლო კვირას, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 190 სასწავლო კვირას. ინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილია სამწლიანი სასწავლო გეგმა. არაინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში - ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 72 სასწავლო კვირას, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 94 სასწავლო კვირას.

საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შეესაბამება კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესს”(დანართი N1; ცვლილება 04-122 24.07.2020; ცვლილება 04-131 13.08.2020; ცვლილება 04-190 06.10.2020; ცვლილება 04-34 15.03.2021), სადაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული მოთხოვნები.

ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, დირექტორის 2021 წლის 15 მარტის №04-31 ბრძანება.
- დირექტორის 2021 წლის 16 აპრილის №04-51 ბრძანება დირექტორის 2021 წლის 15 მარტის №04-31 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის ცვლილების თობაზე.
- დირექტორის 2020 წლის 30 ივლისის N04-125 ბრძანება „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შექმნის, შეცვლისა და გაუმჯობესების წესი“.
- დირექტორის 2019 წლის 11 იანვრის N04-03 ბრძანება „სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი'' (ცვლილება N04-12 14.02.2019 დანართი N3).
- პროგრამაზე მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება.
- დირექტორის 2020 წლის 30 ივლისის N04-126 ბრძანება „სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის 2020-2026 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმა“.
- 2021 წლის სამოქმედო გეგმა.
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის ბრძანება N115/ნ „სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის წესდება“.
- დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი”. დანართი N1(ცვლილება 04-122 24.07.2020; ცვლილება 04-131 13.08.2020; ცვლილება 04-190 06.10.2020; ცვლილება 04-34 15.03.2021)
- სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ''სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო <u>პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა</u> (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“, დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის N04-111 ბრძანებით (2018 13.12.2019) დანართი N1 ცვლილება: N04-04 11.01.2019 დანართი N1 N04-12 14.02.2019 დანართი N2 ცვლილება: N04-74 28.05.2020 დანართი N1 ცვლილება N04-93 23.05.2020 ცვლილება N04-191 06.10.2020.
- პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება.
- ინტერვიურება კოლეჯის წარმომადგენლებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

შეფასება:

- ☐შეესაბამება
- ☐მეტწილად შეესაბამება
- ☐ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია - „სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი''. დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არის - 30. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთების დანართის“ მიხედვით წინამძღვრიანთკარის ფილიალში ინტეგრირებული პროგრამისთვის მოთხოვნილი კვოტა განსაზღვრულია 15 პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

სტუდენტზე, 15 პროფესიული სტუდენტი კი განისაზღვრება არაინტეგირებული პროგრამის ფარგლებში.

დაწესებულებაში პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A, B და C გარემო.

<u>A გარემო</u> - ოთახი N310. სასწავლო გარემოში არის სამუშაო ადგილი 15 პროფესიული სტუდენტისათვის და პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის. გარემო სრულად არის აღჭურვილი პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. მოცემული გარემო გამტარუნარიანია აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სწავლის ერთ ცვლაში განხორციელების შემთხვევაში.

<u>B გარემო</u> - ოთახი N208 გამოყოფილია მხოლოდ აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად. სასწავლო გარემო სრულად არის აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით 15 პროფესიული სტუდენტისთვის და პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის. <u>**აღნიშნული ინდიკატორი დაწესებულებამ „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში“ შეაფასა მეტწილ შესაბამისობად, ვინაიდან სპეციფიკური დანადგარები (კომუტატორი CISCO WS-C2960-24-S- 3 ცალი და მარშუტიზატორი Cisco 1921- 3 ცალი) არ იყო შეძენილი. ვიზიტისას დადგინდა, რომ შესყიდვა განხორციელებულია და დანადგარები განთავსებულია შესაბამის გარემოში. დაწესებულებამ ვიზიტის დასრულებამდე წარმოადგინა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ -ს პროგრამისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შეძენის დოკუმენტაცია, რაც დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტი №90-ით. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ინდიკატორი ექსპერტთა მიერ შეფასდა შესაბამისად.**</u> B გარემო ინტეგრირებული და არაინტეგრირებული ჯგუფებისთვის (სულ 2 ჯგუფი) გამტარუნარიანია სწავლის ერთ ცვლაში განხორციელების შემთხვევაში.

<u>C გარემო</u> - სრულად არის აღჭურვილი ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსით. გარემო გამოიყენება მხოლოდ ინტეგრირებული მოდულების განსახორციელებლად. ვიზუალურად შემოწმდა ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორიები. ბიოლოგიის მეცადინეობისთვის გამოყოფილია - N207 ოთახი, ფიზიკის მეცადინეობისთვის გამოყოფილია - N306 ოთახი, ქიმიის მეცადინეობისთვის გამოყოფილია - N211 ოთახი. დაწესებულება ახორციელებს ერთი ინტეგრირებული პროგრამის სწავლებას. მიმდინარე ეტაპზე იმატებს ორ ინტეგრირებულ პროგრამას მოცემული პროგრამის ჩათვლით. ინტეგრირებული ჯგუფების რაოდენობიდან და დატვირთვიდან გამომდინარე, მოცემული სამი C გარემო გამტარუნარიანია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის ფარგლებში გაფორმებული მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან. მემორანდუმის მე-3 მუხლში გაწერილია, რომ კომპანია წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების პრაქტიკულ სწავლებას როგორც ინტეგრირებული, ისე არაინტეგრირებული პროგრამების ფარგლებში. ხელშეკრულების საფუძველზე, კოლეჯი წინასწარ მიაწვდის საწარმოს ინფორმაციას პრაქტიკის ვადების, პროფესიული სტუდენტის რაოდენობის, მათი ვინაობის და თემატიკის მიხედვით. დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა დოკუმენტი, სადაც აღნიშნულია, რომ „პრაქტიკული პროექტის“ მოდულის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების დადასტურება მოხდება კოლეჯის ბაზაზე. თუმცა, პარტნიორი ორგანიზაცია გამოხატავს მზაობას „პრაქტიკული პროექტის“ მოდულის ფარგლებში, მე-2 სწავლის შედეგის დადასტურება მოხდეს პრაქტიკის ობიექტზე. ამ შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაცია აისახება საწარმოსთან დამატებით გაფორმებულ შეთანხმების აქტში. აღსანიშნავია, რომ თითოეული მემორანდუმის ფარგლებში განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობაა -15 (ჯამში - 30).

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2.საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 22 პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათ შორის, პროფესიული მოდულების განმახორციელებელი - 5 პირი, ზოგადი მოდულების განმახორციელებელი - 8 პირი, ქართული ენის განმახორციელებელი - 1 პირი და ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელი - 8 პირი. პროფესიული განათლების მასწავლებლის (საშტატო) დატვირთვის გაანგარიშებისას კოლეჯი ითვალისწინებს მასწავლებლის მიერ განსახორციელებელ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა - მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი და სხვ. პროფესიული მასწავლებლის დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. დისტანციური ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შემოწმებულ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლებლის მასწავლებელთა პირადი საქმეები. პირად საქმეებში პროგრამის განმახორციელებელ პირებს უდასტურდებათ დარგობრივი კომპეტენცია. მათი სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ჩატარდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან გასაუბრება. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა დაადასტურეს როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა, ასევე, მისი განვითარების მიზნით დაწესებულების აქტივობებში მონაწილეობა. მათთან ინტერვიუს მიმდინარეობისას თვალნათელი იყო, რომ იცნობდნენ მოდულის შინაარს, გააჩნდათ მისი განხორციელების კომპეტენცია, გააზრებული ჰქონდათ მოდულის განხორციელების მიდგომები. ხარისხის მართვის მენეჯერმა აღნიშნა, რომ მიმდინარე ეტაპზე კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლები მონაწილეობენ მასწავლებელთა სახლის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში. აღსანიშნავია, რომ პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯმა მიიღო ახალი პირები. მათ უკვე ჩაუტარდა ტრენინგები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა - უწყისების წარმოება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, კალენდარული გეგმების შემუშავება. დამატებით იგეგმება საინფორმაციო შეხვედრები და ახალი კადრების მომზადება სწავლების პროცესისთვის. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ინტეგრირებული პროგრამის მოდულებზე პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ (ბრძანება N04-69. დანართი N1). დოკუმენტში განსაზღვრულია დასაქმების მსურველი პირის მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დადასტურდა მისი პირადი საქმით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

ხელმძღვანელის დანიშვნის წესი“ (ბრძანება N04-75 (28.05.2020)). დოკუმენტის მე-2 მუხლში გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელი ზრუნავს პროგრამის ადეკვატურ განხორციელებაზე, ათავსებს პრაქტიკისა და თეორიის კომპონენტებს, ზრუნავს პროგრამის შინაარსზე, ზრუნავს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსის განვითარებაზე, ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელი დანიშნულია კოლეგის დირექტორის 2021 წლის 12 მარტის №02-30 ბრძანებით.

დოკუმენტში - სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის “სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“ მითითებულია, რომ პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია პროგრამის ხელმძღვანელს, ისევე როგორც ხარისხის მართვის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, პროგრამის განმახორციელებელ ნებისმიერ პირს, კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციას.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. პროგრამის მოდულებში განსაზღვრულია სასწავლო რესურსი. ვიზიტისას ექსპერტთა მიერ შემოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა და ხელმისაწვდომლობა. პსდ-მ წარმოადგინა პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო რესურსი, რომელიც შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტში განსაზღვრულ სასწავლო რესურსთან. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ მოდულებში განსაზღვრული სასწავლო რესურსის ნაწილი შექმნილია სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ და ფარავს პროგრამის მოდულებს. კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსით სტუდენტთათვის შესაბამისი ცოდნის მიცემა და სწავლის შედეგების გამომუშავება შესაძლებელია. ბიბლიოთეკა აღჭურვილია 15 კომპიუტერით. თითოეულ კომპიუტერში ხელმისაწვდომია სასწავლო რესურსი ელექტრონული სახით, რაც დასტურდება ვიზუალური დათვალიერებისას. ექსპერტთა მიერ შერჩევით შემოწმდა სასწავლო რესურსი, როგორც არაინტეგრირებული ასევე ინტეგრირებული სწავლებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

კოლეჯმა წარმოადგინა დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს N04-40 ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“. (დანართი №2. ცვლილება 04-71 (22.05.2020); ცვლილება 04-115 (15.07.2020)).

აღსანიშნავია, რომ პროფესიულ დარგობრივ მოდულებში მითითებული ლინკები არ მუშაობს, კერძოდ: -დარგობრივი ინგლისური ენა, „ Windows სერვერულ ოპერაციულ სისტემასთან მუშაობა“ Windows სერვერული ოპერაციული სისტემის და ქსელური სერვისების ბაზისური გამართვა სისტემები, Linux ოპერაციულ სისტემასთან მუშაობა, კომპიუტერული ქსელის სტრუქტურა და აგების პრინციპები , კომპიუტერული ქსელის დამისამართება ,ბაზისური ქსელური სერვისების გამართვა ,ბაზისური კომუტაცია და მარშუტიზაცია კომპიუტერულ ქსელებში.

აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია.
<u>რეკომენდაცია:</u> პროფესიულ დარგობრივ მოდულებში მითითებული ლინკები გასწორდეს ისე, რომ მათი გახსნა იყოს შესაძლებელი.
<u>**აღსანიშნავია, რომ დათვალიერების დროს ბიბლიოთეკაში ეს რესურსი ხელმისაწვდომი იყო და ინდიკატორის მოთხოვნა არ ირღვევა.**</u>
საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ განსაზღვრულია თუ რა შემთხვევაში იღებს ვალდებულებას კოლეჯი ინდივიდუალური გეგმის შექმნასთან დაკავშირებთ. დოკუმენტის 26-ე მუხლში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პირობები. ინტერვიურებისას დაწესებულებამ გამოხატა მზაობა უზრუნველყოს სსსმ პირებისთვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული მომსახურება, მათ შორის სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა. პროგრამის ხელმძღვანელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, ჩაწერა ვიდეოლექციები და პროფესიულ სტუდენტებს აუტვირთა მესენჯერში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

7.პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია. კოლეჯი ვაუჩერული დაფინანსების სახით იღებს სახელმწიფოსგან თითოეული სტუდენტის სწავლის საფასურს კოლეჯში განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად მთლიან პროგრამაზე.

პროფესიულ სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა - 15. რენტაბელობის ზღვარი არაინტეგრირებული პროგრამისთვის გათვლილია 8 პროფესიულ სტუდენტზე.
კოლეჯს განსაზღვრული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც გაწერილია შემოსავლების ნაწილი და ხარჯების ნაწილი. შემოსავლების ნაწილში სულ განსაზღვრულია - 88 382.5 ლარი და ხარჯების ნაწილში - 65 275. ლარი.
პროფესიულ სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა - 15. რენტაბელობის ზღვარი ინტეგრირებული პროგრამისთვის გათვლილია 6 პროფესიულ სტუდენტზე.
კოლეჯს განსაზღვრული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც გაწერილია შემოსავლების ნაწილი და ხარჯების ნაწილი. შემოსავლების ნაწილში სულ განსაზღვრულია - 168 600 ლარი და ხარჯების ნაწილში - 121 355 ლარი.

ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, (დირექტორის 2019 წლის 15 მარტის №04-31 ბრძანება).
- დირექტორის 2021 წლის 16 აპრილის №04-51 ბრძანება დირექტორის 2021 წლის 15 მარტის №04-31 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის ცვლილების თობაზე.
- დირექტორის 2019 წლის 11 იანვრის N04-03 ბრძანება „სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი'' (ცვლილება N04-12 14.02.2019 დანართი N3).
- დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი”. დანართი N1(ცვლილება 04-122 24.07.2020; ცვლილება 04-131 13.08.2020; ცვლილება 04-190 06.10.2020; ცვლილება 04-34 15.03.2021)
- დირექტორის 2020 წლის ბრძანება N04-69 „ინტეგრირებული პროგრამის მოდულებზე პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ დანართი N1.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

- დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს N04-40 ბრძანება (დანართი №2. ცვლილება 04-71 (22.05.2020); ცვლილება 04-115 (15.07.2020)) „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“.
- ვიზუალური დათვალიერება.
- პარტნიორ კომპანიებთან გაფორმებული მემორანდუმები.
- ბიუჯეტი.
- მატერიალური რესურსის შეძენის დოკუმენტაცია, მიღება-ჩაბარების აქტი №90.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 28 მაისის N04-26 ბრძანებით (დანართი N1; ცვლილება N04-72 28.05.2020 დანართი N1 ცვლილება N04-189 06.10.2020; ცვლილება N04-33 15.03.2021) დამტკიცებულია „სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელშიც განსაზღვრულია - ზოგადი დებულებები (მუხლი 1) და ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. დოკუმენტის მე-2 მუხლით განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი და მექანიზმები.

კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია ციკლზე: დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე - გააუმჯობესე. ხარისხის შიდა უზრუნველყოფა ხორციელდება ხარისხის მართვის მენეჯერის, შიდა მხარდაჭერის ჯგუფისა და ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ასევე გულისხმობს კოლეჯის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებას და განვითარებას ხარისხის შენარჩუნების და მისი გაუმჯობესების მიზნით. დოკუმენტის ჩანაწერების მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასება გულისხმობს კოლეჯის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის შიდა შეფასებას, მიღებულ შედეგებზე რეაგირებას და ამ შედეგების გაუმჯობესებაზე ზრუნვას. გაწერილია, თუ რა აქტივობები უნდა განახორციელოს დაწესებულებამ მიზნების მისაღწევად. კოლეჯი უზრუნველყოფს - საგანამათლებლო საქმიანობისა და რესურსების შეფასების პროცესების/წესების შემუშავებას, მათ დანერგვასა და მუდმივ გაუმჯობესებას; ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობას და მიღებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე განვითარებისთვის საჭირო რესურსების იდენტიფიცირებას; ფინანსური და მატერიალური, ადამიანური და საინფორმაციო რესურსების შეფასებას და მუდმივ გაუმჯობესებას; პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, შედეგების გამოყენებას მათი შემდგომი განვითარებისთვის; ადამიანური რესურსების პროფესიულ განვითარებას; პროფესიული სტუდენტის შედეგების შეფასების სისტემის მუდმივ განვითარებას, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების წესების შემუშავებას, დანერგვასა და მუდმივ გაუმჯობესებას; ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას (პროფესიული პროფესიულ სტუდენტები, პროგრამის განმახორციელებელი, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვ); პროფესიული სტუდენტებისთვის და პერსონალის მხარდამჭერი სერვისების შემუშვებას, დანერგვას და გაუმჯობესებას, როგორც მატერიალური რესურსების ასევე, ადამიანური რესურსით მხარდაჭერას კონსულტანტების სახით.

დოკუმენტის მე-3 მუხლის დასახელებაა „ხარისხის მართვის მენეჯერი“. აღნიშნულ მუხლის 3.4 და 3.7 პუნქტებში გაწერილია საკითხები - „თითოეული მოდულისათვის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, რომელსაც ქმნის პროფესიული მასწავლებელი და შესათანხმებლად წარუდგენს სასწავლო პროცესის მენეჯერს“ და „სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხორციელდება პროგრამების სასწავლო გეგმების საფუძველზე შემუშავებული თემატურ-კალენდარული გეგმების შესაბამისად, რომელთაც ითანხმებს სასწავლო პროცესის მენეჯერი“. აღნიშნულ პუნქტებში არ ჩანს ხარისხის მართვის მენეჯერის ჩართულობა. ასევე, დოკუმენტში ტერმინები დასაზუსტებელია. მაგ: ტერმინი „მასწავლებელი“ ჩანაცვლდეს ტერმინით - „პროფესიული განათლების მასწავლებელი“. გადასახედია სსსმ პირთა კითხვარი „კოლეჯში მიღებული სერვისებით კმაყოფილების თაობაზე“ ვხვდებით ჩანაწერს -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

„პროგრამაზე მასწავლიან კვალიფიციური მასწავლებლები“. **<u>ექსპერტთა მხრიდან დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია - საგანმანათლებლო დაწესებულებამ დანერგოს მარეგულირებელი დოკუმენტაციის შეფასების მექანიზმები.</u>**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს შემდეგი სახის კითხვარები: - 1. სტუდენტთა დასაქმების კითხვარი; 2. კურსდამთავრებულების კმაყოფილებისა და დასაქმების კვლევის კითხვარი; 3. დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევა; 4. სსსმ პირთა გამოკითხვა კოლეჯში მიღებული სერვისებით კმაყოფილების თაობაზე; 5. საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის ადეკვატურობის კითხვარი; 6. ადმინისტრაციის თანამშრომლების კითხვარი.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკას და სხვ.

2. სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“ დოკუმენტის მიხედვით, მე-2 მუხლში გაეწრილია პროგრამის შემუშავების პროცედურა, პროგრამის შემუშავების წესი, მოდულის შემუშავების წესი. დოკუმენტის მე-5 მუხლით განსაზღვრულია პროგრამაში ცვლილებების შეტანისა და განვითარების წესები. პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს კოლეჯის დირექტორი. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს - ინფორმაციის შეგროვება, ინფორმაციის დამუშვება, გასაუმჯობესებელი მხარეების განსაზღვრა, რეკომენდაციების მომზადება და ცვლილებების განხორციელება.

ექსპერტთა შეფასებით, პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, (დირექტორის 2019 წლის 15 მარტის №04-31 ბრძანება).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

- დირექტორის 2021 წლის 16 აპრილის №04-51 ბრძანება დირექტორის 2021 წლის 15 მარტის №04-31 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის ცვლილების თობაზე.
- სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ''სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)", დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის N04-111 ბრძანებით (2018 13.12.2019) დანართი N1 ცვლილება: N04-04 11.01.2019 დანართი N1 N04-12 14.02.2019 დანართი N2 ცვლილება: N04-74 28.05.2020 დანართი N1 ცვლილება N04-93 23.05.2020 ცვლილება N04-191 06.10.2020.
- დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი". დანართი N1(ცვლილება 04-122 24.07.2020; ცვლილება 04-131 13.08.2020; ცვლილება 04-190 06.10.2020; ცვლილება 04-34 15.03.2021)
- ინტერვიურება კოლეჯის წარმომადგენლებთან.
- კოლეჯის ვებგვერდი https://tmk.edu.ge/

შეფასება:

☐შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

2.4სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. <u>ინტეგრირებული პროგრამის</u> მოცულობა კრედიტებში ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს - 148 კრედიტს, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს - 178 კრედიტს. <u>არაინტეგრირებული პროგრამის</u> მოცულობა კრედიტებში ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს - 90 კრედიტს, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს - 120 კრედიტს. გეგმაში დაცულია მოდულის წინაპირობები და სტუდენტის კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმის მიხედვით პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.
ექსპერტთა შეფასებით, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-2 თავში განსაზღვრულია „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის წესი, მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი". დოკუმენტის მე-3 თავში გაწერილია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი".
ინტერვიურებისას ხარისხის მართვის მენეჯერმა აღნიშნა, რომ კვლევა ჩაატარეს პროფესიულ სტუდენტთა მეცადინეობებზე დასწრებასთან დაკავშირებით. კვლევებით დადგინდა, რომ მათი ნაწილი დასაქმებულია და მეცადინეობებზე ვერ ესწრება. სწავლა მიმდინარეობს ერთ ცვლაში. დაწესებულება გეგმავს, რომ გადავიდეს ორცვლიან სწავლებაზე, რათა დასაქმებულმა პროფესიულმა სტუდენტებმა შეძლონ მეცადინეობებზე დასწრება.
ექსპერტთა შეფასებით, პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სასწავლო გარემო უზრუნველყოფილია თანამედროვე ხელსაწყოებითა და ინვენტარით. ინტერვიურებისას პროგრამის განმახორციელენელმა პირებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულება ზრუნავს მათ გადამზადებაზე სხვადასხვა მიმართულებით. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და კოლეჯის მიერ ტარდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

ტრენინგები სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებსა და დარგის თანამედროვე ტექნოლოგიებში. აღსანიშნავია, რომ კოლეჯს შეძენილი აქვს თანამედროვე მატერიალური რესურსი, რომლის საშუალებითაც განხორციელდება პრაქტიკული მეცადინეობების წარმართვა.

ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. კოლეჯს გაწერილი აქვს მარეგულირებელ დოკუმენტებში სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებდან გამომდინარე განსახორციელებელი მექანიზმების შესახებ. "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" დოკუმენტის მე-4 თავში გაწერილია „სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის" პროცედურები. მე-7 თავში გაწერილია „სწავლის შედეგები, კვალიფიკაციის მინიჭება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების" პირობები.

დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება ინდივიდუალური გეგმის ცვლილებასთან დაკავშირებით (ბრძანება №04-57. 05.06.2019). ასევე წარმოდგენილია სსსმ სტუდენტებისათვის ინდივიდუალური გეგმების შედგენის მიზნით შექმნილი კომისიის ოქმი №1 (04.06.2019). წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5.კოლეჯმა წარმოადგინა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებული პარტნიორ კომპანიებთან. პროგრამის ფარგლებში დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციებია:

- მცხეთის მუნიციპალიტეტი (12.03.2021 წ.)
- ენ ჯი ეს გრუპი (12.03.2021 წ.)

მემორანდუმებში მითითებულია, რომ თითოეული დაწესებულება ინტეგრირებული და არაინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში შეძლებს 15-15 პროფესიული სტუდენტის მიღებას. მემორანდუმი მოქმედებს უვადოდ.

ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში. A, B და C გარემოში დაცულია შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის წესები - მოწყობილია დაკვამლიანების დეტექტორები. პანდემიიდან გამომდინარე დაცულია მანძილები პროფესიული სტუდენტების სამუშაო მაგიდებს შორის. A გარემოში გამოკრულია პანდემიის უსაფრთხოების წესები. ლაბორატორიებში გამოკრულია სპეციალური უსაფრთხოების წესები. ქიმიის ლაბორატორია აღჭურვილია გამწოვი კარადით და გამდინარე წყლით. უსაფრთხოება დაცულია ბიბლიოთეკაში. მოწყობილი აქვთ „წიგნის კარანტინი“. სასწავლო რესურსის ბიბლიოთეკაში დაბრუნების შემდგომ ხდება მისი დამუშავება და რამოდენიმე დღე სპეციალურად გამოყოფილ ყუთში - „წიგნის კარანტინში“ მოთავსება.

<u>ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო გარემოში უსაფრთხოების პირობები შეესაბამება მოქმედ ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს.</u>

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, (დირექტორის 2019 წლის 15 მარტის №04-31 ბრძანება).
- დირექტორის 2021 წლის 16 აპრილის №04-51 ბრძანება დირექტორის 2021 წლის 15 მარტის №04-31 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის ცვლილების თობაზე.
- სასწავლო გეგმები.
- სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ‘’სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“, დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის N04-111 ბრძანებით (2018 13.12.2019) დანართი N1 ცვლილება: N04-04 11.01.2019 დანართი N1 N04-12 14.02.2019 დანართი N2 ცვლილება: N04-74 28.05.2020 დანართი N1 ცვლილება N04-93 23.05.2020 ცვლილება N04-191 06.10.2020.
- ინტერვიურება კოლეჯის წარმომადგენლებთან.
- კოლეჯის ვებგვერდი https://tmk.edu.ge/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები.

შეფასება:

☐შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

2.4.2შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური; დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლითაც ხდება სასწავლო პროცესის მართვა. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა შეფასება - მოიცავს დეტალურ ინფორმაციას შეფასების, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის, კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ. „თემატურ - კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შექმნის წესში“ (ბრძანება N04-12 დანართი N1 14.02.2019; ცვლილება: N04-153 (13.12.2019) დანართი N1; ცვლილება: N04-73 (28.05.2020) დანართი N1, დანართი N2; ცვლილება 04-123 24.07.2020; ცვლილება N04-210 23.10.2020; ცვლილება 04-32 15.03.2021) გაწერილია „შეფასების სისტემისა და ინსტრუმენტების შესახებ (თავი III). დოკუმენტის მე-20 მუხლში გაწერილია განმეორებითი შეფასებისა და გასაჩივრების პირობები.
ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისია.

2.კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 28 მაისის N04-26 ბრძანებით (დანართი N1; ცვლილება N04-72 28.05.2020 დანართი N1 ცვლილება N04-189 06.10.2020; ცვლილება N04-33 15.03.2021)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

დამტკიცებულია „სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელშიც განსაზღვრულია ვერიფიკაციის პროცესი. დოკუმენტში გაწერილია, რომ ვერიფიკაციის პროცესი ემსახურება დაწესებულების სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას, პროფესიული მასწავლებლების დახმარებას, მხარდაჭერასა და პროფესიული განვითარებას. დგინდება არის თუ არა შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. კოლეჯი ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებით - შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი არის ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს. ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობაში შესაძლებელია შევიდნენ - პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, მოწვეული პირი, მემორანდუმით/ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი, პირი სამინისტროს მიერ შექმნილი გუნდიდან ან სხვა კომპეტენტური პირი.

„თემატურ - კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შექმნის წესში“ (ბრძანება N04-12 დანართი N1 14.02.2019; ცვლილება: N04-153 (13.12.2019) დანართი N1; ცვლილება: N04-73 (28.05.2020) დანართი N1, დანართი N2; ცვლილება 04-123 24.07.2020; ცვლილება N04-210 23.10.2020; ცვლილება 04-32 15.03.2021) გაწერილია შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებისა და ვერიფიკაციის პირობები (მუხლი 19). შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულებების/პროცესის ვერიფიკაციისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შემდეგი მიდგომები - შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა, მტკიცებულებათა შესწავლა, შეფასებული პირის ინტერვიურება, შეფასების პროცესზე დასწრება და სხვა.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3.დაწესებულებამ წარმოადგინა ,,სსიპ-ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ,,სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული სახარჯი მასალისა და ნედლეულის შენახვის, გამოყენების და სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ჩამოწერის წესები'' (დირექტორის ბრძანება №04-89 (06.09.2019) დანართი №1). დოკუმენტის მე-4 მუხლში განსაზღვრულია - სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის წესი. დოკუმენტი ჩანაწერების მიხედვით, სწავლის შედეგების დადასტურების პროცესში შექმნილი პროდუქტზე პასუხისმგებელია პროფესიული მასწავლებელი და მის მიერ ინახება მტკიცებულება სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, შესაბამისი კომისიის მიერ ჩამოწერის პროცედურების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

განხორციელებამდე. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი შეფასების მტკიცებულება ინახება კოლეჯში 3 წლის განმავლობაში, ხოლო უწყისები მუდმივად.

ექსპერტთა შეფასებით, პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ექსპერტთა შეფასებით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „თემატურ - კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შექმნის წესში“ (ბრძანება N04-12 დანართი N1 14.02.2019; ცვლილება: N04-153 (13.12.2019) დანართი N1; ცვლილება: N04-73 (28.05.2020) დანართი N1, დანართი N2; ცვლილება 04-123 24.07.2020; ცვლილება N04-210 23.10.2020; ცვლილება 04-32 15.03.2021).
- ,,სსიპ-ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ,,სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული სახარჯი მასალისა და ნედლეულის შენახვის, გამოყენების და სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ჩამოწერის წესები'' (დირექტორის ბრძანება №04-89 (06.09.2019) დანართი №1).
- დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი". დანართი N1(ცვლილება 04-122 24.07.2020; ცვლილება 04-131 13.08.2020; ცვლილება 04-190 06.10.2020; ცვლილება 04-34 15.03.2021)
- „სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, დირექტორის 2019 წლის 28 მაისის N04-26 ბრძანება (დანართი N1; ცვლილება N04-72 28.05.2020 დანართი N1 ცვლილება N04-189 06.10.2020; ცვლილება N04-33 15.03.2021).
- ინტერვიურება კოლეჯის წარმომადგენლებთან.
- კოლეჯის ვებგვერდი https://tmk.edu.ge/

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

☐შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება☐

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი.

ქ. თბილისი.

თარიღი 24.05.2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: